ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1959076

ნომერი: AR1314629

თარიღი : 01.06.2015

გაცემის თარიღი : 17.06.2015

გაცნობის თარიღი : 22.06.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა სულხან ცინცაძე , N 1 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი დათიაშვილი პ/ნ 60001043041
- ქუთაისი ს.თოფურიას ქ. N 17

ნომენკლატურა :

- I კლასი
- კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განმეორებით განხილული იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გიმეორებთ:

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად კონდენციონერის განთავსების არეალი ცდება #01.10.14.031.004 მიწის ნაკვეთის საზღვრებს (ვინაიდან კორპუსი ზედ საკადასტრო საზღვარზე განთავსებული) და გადადის მომიჯნავე #01.10.14.031.028 მიწის ნაკვეთის საზღვრებში. აღნიშნულის გათვალისწინებით დამატებით წარმოსადგენია N 01.10.14.031.028 მიწის ნაკვეთის მესაკუთრის, მოქ. ზურაბ კაკოიშვილის თანხმობა (დამოწმებული ნოტარიულად), კონდენციონერის მოწყობის თაობაზე.
განახლებული ფოტომონტაჟი აიტვირთოს შესაბამის ველში.

ასევე დამატებით წარმოადგინეთ მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმა, მასზე აგრეგატის განთავსების არეალის დატანით.
აღნიშნულის შესახებ უკვე გეცნობათ სამსახურის №1935599 გადაწყვეტილებით.

გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.